დევიდ ლინჩი საქართველოს ეწვევა

18 ნოემბერს, 4 დღიანი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ეწვევა დევიდ ლინჩი - ცნობილი ამერიკელი რეჟსორი, სცენარისტი, მუსიკოსი, პროდიუსერი, დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, მრავალი კინოფესტივალის გამარჯვებული, ისეთი ნამუშევრების ავტორი, როგორიცაა „ტვინ პიქსი“, „მალჰოლანდ დრაივი“, „ლურჯი ხავერდი“ და ა.შ. საქართველოს ასევე ეწვევა დევიდ ლინჩის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, ბობ როთი.

დევიდ ლინჩის ფონდი (“davidlynchfoundation.org) 2005 წელს აშშ-ში თავად დევიდ ლინჩის მიერ დაარსდა. ძირითადი ფილიალები ამერიკის შეერეთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და უკრაინაში მუშაობს.

საქართველოში ვიზიტი დაკავშირებულია, დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან, რომელიც 2017 წლის 25 ივლისს, თბილისში ჩამოყალიბდა და საქართველოს, აზრებაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს. ფონდის პრეზიდენტია ცნობილი რეჟსორი და მუსიკოსი, გიგა აგლაძე.

საქართველოში პირველი ვიზიტის დროს, სახელგანთქმულ ამერიკელ რეჟისორს და მის გუნდს, შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ ქვეყნის კულტურას, ისტორიას და ტრადიციებს. საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის პირველ პირებთან განიხილონ თანამშრომლობის შესაძლებლობა კულტურის, განათლების და მეცნიერების დარგში. შეხვდნენ ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, მათ შორის, ახალგაზრდებს, მეცნიერებს და ომის ვეტერანებს. ასევე, იგეგმება დევიდ ლინჩის ფილმის ჩვენება და მაყურებელთან შეხვედრა, საჯარო ლექცია ტრანსცენდენტული მედიტაციისა და საზოგადოებისთვის მისი სოციალური როლის შესახებ.

დევიდ ლინჩის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, დღეს ჟურნალისტებთან შეხვედრაც გაიმართა. როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ცნობილი რეჟსორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით დედაქალაქში სხვადასხვა სახის ღონისძიებებია დაგეგმილი, მათ შორის, ლინჩის მთავრობის წარმომადგენლებთან, პრემიერ-მინისტრთან, მერთან და განათლების მინისტრთან შეხვედრა. შეხვედრაზე ისინი თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ისაუბრებენ.

DAVID LYNCH WILL VISIT GEORGIA

The famous American film director, scriptwriter, musician, producer, one of the most famous representatives of the independent film, winner of several film festivals, the author with such works as “Twin Peaks”, “Mulholland Drive”, “Blue Velvet”, etc.,David Lynch will arrive in Georgia on the 18th of November with a four-day visit. The CEO of the David Lynch Foundation Bob Roth will also arrive in Georgia.

David Lynch Foundation (davidlynchfoundation.org) was founded by David Lynch himself in USA in 2005. The main branches are located in USA, Great Britain, france and Ukraine.

His visit in Georia is related to the activity of David Lynch Foundation in Caucasus, which was founded in Tbilisi on the 25th of July, 2017 and unites Georgia, Azerbaijan and Armenia. Th president of the foundation is a famous film director and a musician Giga Agladze.

During their first visit in Georgia the famous American film director and his delegation will have a possibility to get acquainted the culture, history and Georgian Parliament and Government key persons in the spheres of culture, education and science, to meet with the representatives of different social spheres including the youth, scientists and war veterans. David Lynch’s film screening and meeting with the public, as well as a public lecture about Transcendental Meditation and its role for the society will also be held.

The meeting with journalists related to David Lynch’s visit was also held today. According to the organizers different events will be held during Lynch visit in Tbilisi including a meeting with the government, Prime Minister, City Mayor, Minister of Education. They will discuss future cooperation possibilities.